

167

საქართველოს იუსტიციის მინისტრს
ბატონ ზურაბ ადეიშვილს

ააიპ "უსაფრთხო სივრცე" წარმოადგენს არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელიც ანხორციელებს პროექტს "თბილისის ეკოლოგია" USADI-სა და "ფონდი-ღია საზოგადოება საქართველო"-ს დაფინანსებით. პროექტის ფარგლებში მომსახურების ხელშეკრულებას ვდებთ სხვადასხვა ორგანიზაციებთან. შემოსავლების სამსახურის მიერ გათავისუფლებული ვართ დამატებული ღირებულების გადასახადის გადახდისაგან.

გვსურს მომსახურების ხელშეკრულების გაფორმება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან, რომელიც მიუხედავად შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული ცნობისა უარს აცხადებს საფასურის დაანგარიშებაზე დამატებული ღირებულების გადასახადის გადახდის გარეშე, მაშინ როცა ეროვნულ არქივთან გაფორმებული გვაქვს მომსახურების ხელშეკრულება და მომსახურების თანხებს ვიხდით დამატებული ღირებულების გადასახადი გარეშე, ანგარიშფაქტურისა და შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

გთხოვთ დაგვეხმაროთ საჯარო რეესტრთან მომსახურების ხელშეკრულების გაფორმებაში დამატებული ღირებულების გადასახადის გადახდის გარეშე.

დანართი: შემოსავლების სამსახურის ცნობა

ააიპ "უსაფრთხო სივრცის"
თავმჯდომარე

/ა.გაბრიაძე/